Silk

[თარიღი]

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები	
მოთხოვნამდე ანაბრის (დეპოზიტის) ხელშეკრულება N[ხელშეკრულების ნომერი]	
დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი	
დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი:	[ფიქსირებული /ცვლადი /ინდექსირებული]
დეპოზიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი	[წლიური საპროცენტო განაკვეთი რიცხვობრივად] %
დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	[ეფექტური საპროცენტო განაკვეთი რიცხვობრივად] %
ფინანსური ხარჯები	
დეპოზიტის მომსახურების ყოველთვიური საკომისიო	0 ლარი
სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია	
დეპოზიტის პირველადი შენატანი	[ოდენობა] დოლარი/ევრო
ანაბრის ვადა / პერიოდი	[დღეების რაოდენობა რიცხვობრივად (დღეების რაოდენობა სიტყვიერად)] დღე; [დდ/თთ/წწ]-დან [დდ/თთ/წწ]-მდე
მომხმარებელს აქვს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის უფლება.	
ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდისშემთხვევაში – არანაკლებ ერთი თვით ადრე წერილობით / ელექტრონული ფოსტით / ინტერნეტ ბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით. წინასწარი შეტყობინების ვალდებულება არ არსებობს, თუ პირობის ცვლილება ხორციელდება მომხმარებლის სასარგებლოდ.	
მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ბანკის პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით	
უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტი მომხმარებელს მნიშნველოვანი რისკის წინაშე აყენებს ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული სარგებელი მნიშვნელოვნად შეამციროს ლარის შესაძლო 15 %-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი = -[ოდენობა]%	
თქვენი დეპოზიტი დაზღვეულია „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ფარგლებში	
გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა - www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე - 032 2 406-406	

Silk

მოთხოვნამდე ანაბრის (დეპოზიტის) შესახებ N

ქ. თბილისი, საქართველო

ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ - ბანკი (შემდგომში „ბანკი“)	სს „სილქ ბანკი“
მისამართი	ქ. თბილისი, ზაარბრუკენის მოედანი #2
ს/ნ	201955027
ტელ.	2242242

მეორეს მხრივ - მეანაბრე (შემდგომში “მეანაბრე”)	[სახელი და გვარი/დასახელება]
ფაქტიური მისამართი	[ფაქტიური მისამართი]
იურიდიული მისამართი	[იურიდიული მისამართი]
პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო ნომერი	[პ/ნ]
ტელ.	[ტელეფონის ნომერი]
ელ.ფოსტა	[ელ ფოსტა]
წარმომადგენელი	[წარმომადგენლის სახელი და გვარი] ან [არ არის განსაზღვრული]

1. ტერმინთა განმარტება

1.1. საპროცენტო განაკვეთი - სადეპოზიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფიქსირებული წლიური საპროცენტო განაკვეთი ხელშეკრულებით განსაზღვრული პერიოდის მანძილზე.

1.2. ანაბარი (დეპოზიტი) - ბანკში მეანაბრეს მიერ შეტანილი ფულადი სახსრები, რომელსაც ერიცხება სარგებელი.

1.3. ანაბრის (დეპოზიტის) ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - ანაბრის ისეთი საპროცენტო განაკვეთი, რომლის გაანგარიშებაში გაითვალისწინება ყველა აუცილებელი ფინანსური ხარჯი და მიღებული/მისაღები სარგებელი, მომხმარებლის მიერ ამ ხარჯების გაწევისა და სარგებლის მიღების პერიოდის გათვალისწინებით.

1.4. ფინანსური ხარჯი – ხარჯი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მოთხოვნილია ბანკის მიერ და წარმოადგენს მეანაბრის მიერ სადეპოზიტო პროდუქტის მიღების, შენარჩუნებისა და დახურვისათვის გასაწევ აუცილებელ ხარჯს.

1.5. ხელშეკრულების თავსართი – ხელშეკრულების ნაწილი, რომელიც წინ უსწრებს ხელშეკრულების ყველა სხვა ნაწილს/დებულებას და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ბანკი ვალდებულია მეანაბრეს გაუხსნას ანაბრის ანგარიში და ანაბარს დაარიცხოს საპროცენტო სარგებელი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.2. ანაბარზე ფულადი თანხის შეტანით ბანკი მოიპოვებს მასზე საკუთრების უფლებას და იღებს ვალდებულებას ვადის დადგომისას ან/და თუ ვადა არ არის განსაზღვრული უკან გამოთხოვის შემთხვევაში იმავე ვალუტაში დააბრუნოს მიღებული თანხა.

3. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

3.1.	მოთხოვნამდე ანაბარს არ გააჩნია ვადა, ამასთან მეანაბრე უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გაიტანოს ანაბრის ანგარიშზე არსებული თანხა სრულად ან ნაწილობრივ.
3.2.	ხელშეკრულების გაფორმების დღეს ბანკი მეანაბრეს განსაზღვრული ვადით უხსნის ანაბრის აღსარიცხავად ვადიანი ანაბრის ანგარიშს (შემდგომში “ანგარიში”), რომელზედაც მეანაბრე ხელშეკრულების გაფორმების დღეს განათავსებს ფულად თანხას (შემდგომში „ანაბარი“). ანაბარზე წლიური პროცენტი იანგარიშება თანხის ანგარიშზე მოხვედრის მომდევნო დღიდან ხელშეკრულებაში მითითებული ვადის ამოწურვამდე, წელიწადში

	365 დღეზე ყოველდღიური გაანგარიშებით (ნაკიან წელიწადში 366 დღეზე გაანგარიშებით). დარიცხული საპროცენტო სარგებელი ყოველი კალენდარული თვის ბოლო რიცხვში ემატება (ირიცხება) 3.3. პუნქტში მითითებულ ანგარიშს.	
3.3.	ანაბრის ანგარიში (შემდგომში "ანგარიში")	[სადეპოზიტო ანგარიშის ნომერი]
3.4.	ანაბრის ვალუტა	[აშშ დოლარი/ევრო]
3.5.	წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში ანაბრისანგარიშზე განთავსებულ თანხას, ვალუტის შესაბამისად, დაერიცხება საპროცენტო სარგებელი წლიური	[პროცენტის ოდენობა რიცხვობრივად] %-ის ოდენობით.
3.6.	საპროცენტო სარგებლის კაპიტალიზაცია	ყოველი თვის ბოლოს
3.7.	ანგარიშზე თანხის მოძრაობა (შეტანა/გატანა)	შეუზღუდავია
3.8.	ანაბარზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის გატანა	უფასო
3.9.	ანაბარზე თანხის ნაღდი/უნაღდო გზით განთავსების შემთხვევაში გატანის საკომისიო	უფასო
3.10.	ანაბარი ავტომატურ დახურვას ექვემდებარება ანგარიშზე ნულოვანი ნაშთის არსებობის შემთხვევაში, თუ ეს ვადა შეადგენს	6 თვეს
3.11.	ანაბრის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	[ეფექტური განაკვეთის ოდენობა]%-ის ოდენობით
3.12.	ინფორმაცია ანაბრის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლასთან დაკავშირებით (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშებისას კეთდება დაშვება, რომ კლიენტი ათავსებს 1000 ერთეულს (ლარი/აშშ დოლარი/ევრო) 12 თვით, დარიცხვა ხდება რთული პროცენტის პრინციპით, კაპიტალიზაცია - თვეში ერთხელ).	ანაბრის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში მონაწილეობს მესამე მუხლის შემდეგი ქვეპუნქტები: 3.4; 3.5; 3.7; 3.9;
3.13.	ანაბრის ვადა; პერიოდი	უვადო
3.14.	ეროვნული ვალუტის შესაძლო 15%-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშება (დაშვებულია ლარის გამყარება ყოველდღიურად, თანაბარი ოდენობით და რომ თანხის შეტანა-გამოტანა ბანკიდან ხორციელდება ლარებში)	- [პროცენტის ოდენობა]%
3.15.	ბანკი უფლებამოსილია საბანკო რისკების შემცირების მიზნით ნებისმიერ დროს შეცვალოს 3.5. პუნქტში მითითებული საპროცენტო სარგებელი. რის შესახებაც ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ატყობინებს	
3.16.	ანაბრის მომსახურებასთან დაკავშირებით პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია ბანკის ნებისმიერ ფილიალში/სერვის-ცენტრში.	

4. მხარეთა უფლება - მოვალეობები

4.1. ბანკი იღებს ვალდებულებას:

4.1.1. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ანაბარს დაარიცხოს საპროცენტო სარგებელი;

4.1.2. გასცეს ანაბარი მეანაბრეზე ანაბრის ვადის ბოლოს იმავე ვალუტაში, რაშიც იქნა მიღებული, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

4.2. მეანაბრე იღებს ვალდებულებას:

4.2.1. შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

4.3. ბანკი უფლებამოსილია:

4.3.1. განკარგოს ანგარიშზე რიცხული თანხა საკუთარი სახელითა და შეხედულებისამებრ;

4.3.2. კანონმდებლობის ან ბანკთან დადებული ნებისმიერი ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების შესრულების მიზნით, მეანაბრის შემდგომი თანხმობის, ან ნებართვის გარეშე, ასეთი ვალდებულების წარმოშობის შემდეგ ნებისმიერ დროს უაქცეპტო წესით ჩამოწეროს თანხები მეანაბრის ანგარიშიდან ან/და დახუროს (შეწყვიტოს) ანაბარი;

4.3.3. საბანკო რისკების შემცირების მიზნით ნებისმიერ დროს ვადაზე ადრე შეწყვიტოს ანაბრის ხელშეკრულება

და ანაბარზე განთავსებული თანხა დააბრუნოს მეანაბრის მიმდინარე ანგარიშზე. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მეანაბრეს ეცნობება ხელშეკრულების შეწყვეტამდე 30 კალენდარული დღით ადრე SMS-ის, ელ. ფოსტის, ბანკის ვებ გვერდის, ბანკის მომსახურების წერტილებში ინფორმაციის გამოქვეყნებით და სხვა საინფორმაციო საშუალებებით.

4.3.4. მეანაბრის ინიციატივით ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში ანაბრის თანხას გამოაკლოს მეანაბრეზე წინასწარ გაცემული დარიცხული საპროცენტო სარგებელი.

4.3.5. მეანაბრეს მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

4.4. მეანაბრე უფლებამოსილია:

4.4.1. მოითხოვოს ბანკისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

4.5. მეანაბრეს/მომხმარებელს არ აქვს უფლება უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის N32/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის მიხედვით“;

5. მეანაბრის გარანტიები და განცხადებები

5.1. მეანაბრე იძლევა გარანტიას და აცხადებს რომ:

5.1.1. ხელშეკრულების დადებისას არ იმყოფება შეცდომაში, მოტყუების, მის წინააღმდეგ გამოყენებული ძალადობის ან მუქარის გავლენის ქვეშ, გააჩნია ხელშეკრულების დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილება და შესაძლებლობები. გაეცნო და ეთანხმება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ძირითად პირობებს და ტარიფებს; თანახმაა ისარგებლოს ამ მომსახურებით; თანახმაა ბანკმა საკუთარი შეხედულებისამებრ მიიღოს გადაწყვეტილება შეცვალოს ანაბრის პირობები, რაც ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე მოიცავს, საპროცენტო განაკვეთის შემცირებას/გაზრდას და ამის შესახებ ცვლილებამდე 60 კალენდარული დღით ადრე ინფორმაცია მიიღოს SMS-ის საშუალებით და/ან ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოქვეყნებით ასევე, სხვა საინფორმაციო საშუალებებით. მეანაბრის მიერ ახალი პირობებით სარგებლობა ავტომატურად ჩაითვლება ახალი პირობების მიღებად. უარის შემთხვევაში მეანაბრეს შეუჩერდება ანაბრით სარგებლობის უფლება და ანაბარზე არსებული თანხა გადაირიცხება მის მიმდინარე ანგარიშზე ყოველგვარის სარგებლის დარიცხვის გარეშე.

5.1.2. ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე თანახმაა მიიღოს ბანკის მიერ გამოგზავნილი ყველანაირი შეტყობინება (გზავნილი). ყველა შეტყობინება, რაც გაიგზავნება (მიუხედავად მისი ჩაბარებისა ან და ჩაბარებაზე უარის თქმისა) ბანკის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ მეანაბრის მისამართზე, ჩაითვლება მის მიერ მიღებულად;

5.1.3. ბანკმა წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისას სრულად უზრუნველყო, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მეანაბრეზე მიწოდებისას უტყუარი, გასაგები და გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი სრული ინფორმაციის დროული მიწოდება, რომელიც მას არ უბიძგებს ისეთი გადაწყვეტილების მიღებისაკენ, რომელსაც იგი არ მიიღებდა უტყუარი და სრული ინფორმაციის ფლობის პირობებში

5.1.4. ბანკმა სრულად უზრუნველყო წინამდებარე საბანკო პროდუქტის (ანაბრის) მახასიათებლების შესახებ ისეთი ინფორმაციის განცხადება და მიწოდება, რომელიც შეესაბამება სინამდვილეს და შეცდომაში არ შეყავს მეანაბრე.

5.1.5. ხელშეკრულების გაფორმებისას სრულყოფილად გაეცნო ხელშეკრულებას და ხელშეკრულების მნიშვნელოვან პირობებს.

5.1.6. ხელშეკრულების გაფორმებისას სრულყოფილად გაეცნო ბანკის მიერ პრეტენზიების მიღების/განხილვის სტანდარტულ წერილობით პროცედურას.

5.1.7. ხელშეკრულების გაფორმებამდე გაეცნო ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ფინანსურ ხარჯებს და თანახმა გააფორმოს ხელშეკრულება მოცემული პირობების და ხარჯების გათვალისწინებით.

5.1.8. ხელშეკრულების გაფორმებისას გაეცნო და მომავალშიც გაეცნობა მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა - www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406.

5.1.9. ხელშეკრულებაში, მის თავსართში და დანართებში მოცემული ინფორმაცია არის მისთვის გასაგებ ენაზე, ადვილად წაკითხვადია, აღქმადია ტექსტის შინაარი და აღქმადია შრიფტის ზომა.

5.1.10. საჭიროების შემთხვევაში უარს არ იტყვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე და მისი პირობების შეცვლაზე ბანკის მოთხოვნების გათვალისწინებით.

5.1.11. არ მონაწილეობს ტერორისტულ საქმიანობაში და ხელს არ უწყობს ტერორიზმის დაფინანსებას ან/და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას.“

6. ბანკის მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

6.1. ბანკი ვალდებულია ყოველგვარი დამატებითი გადასახდელების გარეშე მეანაბრის მოთხოვნის საფუძველზე, მიაწოდოს მატერიალური ანდა ელექტრონული ფორმით მინიმუმ შემდეგი სტანდარტული ინფორმაცია:

6.1.1. ანაბრის ნაშთი;

6.1.2. ხელშეკრულების ასლი, რომელიც შესაძლებლობის შემთხვევაში უნდა იყოს დამოწმებული;

6.1.3. განხორციელებული შენატანებისა და გამოტანების დეტალური ამონაწერი, რომელშიც მოცემული უნდა იყოს მინიმუმ შემდეგი ინფორმაცია: ანგარიშიდან თანხის გატანის/გადარიცხვის და ანგარიშზე თანხის შეტანის/ჩარიცხვის თარიღების და ოდენობის შესახებ მინიმუმ ბოლო ამონაწერის შემდგომი პერიოდიდან ან მეანაბრის მიერ მოთხოვნილი პერიოდიდან;

6.2. ამასთან ერთად, ბანკი მეანაბრეს სთავაზობს მისი სურვილის შემთხვევაში ყოველთვიურად მიაწოდოს ანგარიშის ამონაწერი წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით დამატებითი გადასახდელების გარეშე.

7. ბანკში პრეტენზიების წარდგენის ფორმები და მისი მიღების სტანდარტული პროცედურა

7.1. მეანაბრის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ბანკში პრეტენზიის წარდგენის ფორმაა წერილობითი ფორმა;

7.2. მაქსიმალური ვადა წერილობითი პასუხის მიღებისათვის წერილობითი ფორმით გამოხატულ პრეტენზიაზე განისაზღვრება 30 სამუშაო დღით;

7.3. პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაცია, ასევე, ბანკის პრეტენზიების განხილვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მექანიზმები რეგულირდება ბანკში პრეტენზიების წარდგენის შესახებ დოკუმენტით, რომელიც ხელმისაწვდომია ბანკის ფილიალებსა და სერვის-ცენტრებში (995 (32) 2 242-242) და ვებ-გვერდზე (www.silkbank.ge);

7.4. მეანაბრის პრეტენზიების განხილვას აწარმოებს ბანკის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი (მომხმარებელთა პრეტენზიების განხილვის დანაყოფი);

7.5. მეანაბრის მიერ პრეტენზიის წარდგენა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაძლებელია ბანკის ნებისმიერ ფილიალში/სერვის-ცენტრში;

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მომხმარებლის მიერ მისი დადასტურებისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე.

9. ხელშეკრულების ცვლილება

9.1. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება ორივე მხარის მიერ სათანადოდ ხელმოწერილი წერილობითი ფორმითა ან/და ბანკის მიერ ცალმხრივად წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

9.2. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს საპროცენტო განაკვეთი ან/და ხელშეკრულების სხვა მნიშვნელოვანი პირობები შემდეგ შემთხვევებში:

9.2.1. იმ შემთხვევაში, თუ: ა) ანაბრის საპროცენტო განაკვეთი აღმოჩნდება უფრო მაღალი, ვიდრე ანაბრებისთვის საქართველოს ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთები; ბ) ადგილი ექნება იმგვარ პროცესებს (მათ შორის ინფლაცია, ეკონომიკური ვარდნა და სხვ.), რომელთაც შესაძლოა გამოიწვიონ ბაზარზე ანაბრისთვის დაწესებული საპროცენტო სარგებლის (განაკვეთების) ცვლილება და ამგვარი ცვლილებების შედეგად

ანაბრის საბაზრო საპროცენტო განაკვეთი/განაკვეთები შეიცვლება (შემცირდება) 5%-ზე მეტი ოდენობით,

9.2.2. იმ შემთხვევაში, თუ: ა) ანაბრის ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვლება ისე, რომ იგი შესაძლოა ზარალიანი აღმოჩნდეს ბანკისთვის და/ან საფრთხე შეუქმნას ბანკის ფინანსურ სტაბილურობას; ბ) ანაბრის პირობები არ/აღარ შეესაბამება ბანკის მიმდინარე პოლიტიკას; გ) განხორციელდება იმგვარი საკანონმდებლო და/ან სხვა სახის ცვლილება, რომელიც აუარესებს ბანკის მდგომარეობას, ბანკი უფლებამოსილი იქნება, ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტის/მომსახურების ნებისმიერი პირობა.

9.3. ბანკის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთის ან/და ნებისმიერი სხვა პირობის ცალმხრივად ცვლილება შესაძლებელია მსესხებლისათვის წინასწარი შეტყობინების საფუძველზე. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მეანაბრის/მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში – არანაკლებ ერთი თვით ადრე, წერილობით / ელექტრონული ფოსტით / ინტერნეტ ბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით. ხოლო ხელშეკრულების სხვა პირობების ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარ 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წინასწარი შეტყობინების საფუძველზე ამასთან წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც:

9.3.1. ხელშეკრულებით ან პირობებით განსაზღვრული მომსახურების ტარიფების ცვლილება ხორციელდება მეანაბრის სასარგებლოდ;

9.3.2. ხელშეკრულებაში ან პირობებში ხორციელდება ახალი პროდუქტის ან დამატება ან არსებულის შეცვლა, რომელიც არსებითად არ ანაცვლებს ან/და არ ცვლის ხელშეკრულებაში ან/და პირობებში არსებულ მომსახურებებს;

9.4. თუ მეანაბრე არ დაეთანხმება ბანკის მიერ შეცვლილ პირობებს, იგი ვალდებულია ცვლილებების ძალაში შესვლამდე წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ ბანკს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ მეანაბრე ეთანხმება განხორციელებულ ცვლილებებს;

9.5. ცვლილებების მიღებაზე უარის დაფიქსირების შემთხვევაში, მეანაბრე უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების დაუყოვნებლივ შეწყვეტა. ამასთან, თუ ასეთი მოთხოვნა არ არის დაფიქსირებული მეანაბრის მხრიდან განცხადებაში, ბანკი უფლებამოსილია თავად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება ცვლილებების ამოქმედების თარიღიდან.

10. სადავო საკითხების განხილვა

10.1. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე.

10.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში წინამდებარე და მის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა, მათ შორის დაკავშირებული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობასთან, მოშლასთან, შეწყვეტასთან და ბათილობასთან, განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ. მხარეები შეთანხმდნენ, რომ სასამართლოში საქმის განხილვისას პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება (მათ შორის დაუსწრებელი გადაწყვეტილება) ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას. აღსრულება არ შეჩერდება ამავე დავის საგანზე მესამე პირის სარჩელის საფუძველზედაც.

11. დამატებითი პირობები

11.1. 2018 წლის 1 იანვრიდან ბანკი მონაწილეობს „დეპოზიტების დაზღვევის სიტემის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ დეპოზიტების დაზღვევის სისტემაში. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული ხელმისაწვდომი თანხა ანაზღაურდება დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ 50 000 ლარის ფარგლებში, ხოლო დანარჩენი თანხა ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ ეწვიოთ სსიპ – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდს: www.diagency.ge“. ა) რა თანხა ანაზღაურდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სააგენტოს მიერ? - ერთსა და იმავე კომერციულ ბანკში კლიენტის ანგარიშებზე (მათ შორის უცხოური ვალუტით) არსებული თანხები დაჯამდება და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურებას დაექვემდებარება 50,000 ლარამდე თანხა, ხოლო თუ თანხა აღემატება 30,000 ლარს, დანარჩენი თანხა ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით; ბ) როგორ ვისარგებლო დეპოზიტების

დაზღვევით? - კომერციულ ბანკში ყველა პირის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე; გ) კომერციულ ბანკში სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ანაზღაურების პირობები - სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღე, მიუხედავად იმისა, მოცემულ მომენტში კომერციულ ბანკს გააჩნია თუ არა შესაბამისი სახსრები; დ) ანაზღაურების ვალუტა - ლარი

11.2. ანაბრის ანგარიშზე შემოსავლის ან გასავლის ოპერაციების წარმოება დასაშვებია ბანკში გახსნილი მეანაბრის მიმდინარე ანგარიშთან კორესპონდენციით ასევე სალაროს ანგარიშებთან კორესპონდენციით;

11.3. ანაბარზე თანხის განთავსება შესაძლებელია როგორც ნაღდი ისე უნაღდო სახით;

11.4. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის, მხარეთა მიერ ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიიჩნევა ბანკის იურიდიული მისამართი.

11.5. წინამდებარე ხელშეკრულების დადასტურებისთანავე ძალას კარგავს მხარეთა შორის ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა სხვა შეთანხმება;

11.6. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი ყველა დანარჩენი საკითხი რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმებლობით.

11.7. ხელშეკრულებების დადების მომენტისათვის არსებული გარემოებების ან იმ გარემოებების, რომლებიდანაც გამოდიოდნენ მეანაბრე და ბანკი ხელშეკრულების დადების მომენტში, მნიშვნელოვნად შეცვლის შემთხვევაში, რაც თავის მხრივ ასევე მოიცავს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას, ბანკს აქვს უფლება გაუგზავნოს მეანაბრეს წინადადება ამ ხელშეკრულების პირობების შეცვლასთან დაკავშირებით 60 კალენდარული დღით ადრე წერილობით, ან SMS-ის ან ელ. ფოსტის ან ბანკის ვებ გვერდის ან ბანკის მომსახურების წერტილებში ინფორმაციის გამოქვეყნებით.

11.8. ხელშეკრულებების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას.

11.9. მეანაბრის ადგილსამყოფელზე (იურიდიული მისამართი, ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი) გაგზავნილი წერილები და შეტყობინებები ითვლება მის მიერ მიღებულად მიუხედავად იმისა, მისი რეალური ადგილსამყოფელი ემთხვევა თუ არა წერილის გაგზავნის დღეს ბანკისათვის ცნობილ მის მისამართს, თუ ახალი ადგილსამყოფელის და იქ გადასვლის თარიღის შესახებ მეანაბრე წერილობით წინასწარ არ აცნობებს ბანკს.

11.10. წინამდებარე ხელშეკრულება მისი ვალდებულებებითა და სარგოებით ვრცელდება მხარეთა შესაბამის მემკვიდრეებზე და მონაცვლეებზე, მაგრამ მეანაბრეს ბანკისგან განსხვავებით უფლება არა აქვს გადასცეს ან გადააბაროს მთლიანად ან ნაწილობრივ მესამე პირს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ნებისმიერი ვადებულება ან მინიჭებული უფლება ბანკის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.11. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილობა და / ან მოქმედების შეწყვეტა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას.

11.12. მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული ცალკეული ხელშეკრულებები, მათი დანართები წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მათზე სრულად ვცელდება ამ ხელშეკრულების პირობები, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

11.13. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე;

11.14. მე მეანაბრე თანახმა ვარ: ა) საბანკო პროდუქტებით მომსახურების მიზნით ბანკმა არაერთჯერადად და შეუზღუდავად დაამუშავოს ამ დოკუმენტში მითითებული პერსონალური მონაცემები (განსაკუთრებული კატეგორიის-პროფესიული ორგანიზაციის წევრობასთან ანდა ბიომეტრიული მონაცემები; ბ) საბანკო საქმიანობიდან გამომდინარე ამ დოკუმენტში მითითებულ ანდა ბანკის პროგრამაში რეგისტრირებულ სატელეფონო ნომრებზე ანდა საკომუნიკაციო საშუალებებზე (ფოსტის, ელექტრონული ფოსტის, სატელეფონო ზარების და SMS შეტყობინებების, სხვა ელექტრონული ანდა სატელეკომუნიკაციო საშუალებით) აწარმოოს პირდაპირი მარკეტინგი საქონლის ან/და მომსახურების შეთავაზებაზე ანდა გამოაგზავნოს ნებისმიერი სახის საინფორმაციო/გამაფრთხილებები შეტყობინებები; გ) დაამუშავოს პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის ამ დოკუმენტში მითითებული პირების ანდა საჯარო წყაროების გამოყენებით მოპოვებული პერსონალური მონაცემი.